ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3/1

2017წ .19.01

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ — „ხელშეკრულება") — „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ. მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკმზრდე.საგანმ.სკოლამდელი ცენტრის დირექტორი ქეთინო გელაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი"). და მეორეს მხრივ შპს „ბიზნეს ჯგუფს", (შემდგომში მიმწოდებელი), შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: რძის პროდუქტების შეძენა. დანაყოფის კოდი - 15500000

შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

4.ხელშეკრულების ღირებულება:914.45 (ცხრაასთოთხმეტი ლარი და 45 თეთრი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით.

4.1. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის რ-ნი დ.სტეფანწმინდა.

5. მხარეთა უფლება — მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს ხარისხიანი მომსახურება.
5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას, გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება, საბოლოოდ შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს „მიმწოდებელს'' საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება მაღალ ხარისხოვანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ანგარიშ ფაქტურის წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ფასები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების. ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების. საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

9.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1 -ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას იმით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ
უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,

მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13 .1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 18.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

13.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით, 5% -ის ოდენობით.

13.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16.სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 201 წლის .25.01

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:
ყაზბეგის მუნიციპ.საალმზრდელ.საგანმანათ.

სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი
ს/კ241499552
აღმაშენებლის N9

დირექტორი: ქ.გელაშვილი
ტელ;599-95 90 03

ხელმოწერა

ბ.ა.

მიმწოდებელი:
მისამართი:დ.სტეფანწმინდა
შპს „ბიზნეს ჯგუფი"
ს/კ429322878
ა/ა GE08TB7445145067800002
მომსახურე ბანკი: თი ბი სი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE 22
ტელ:

ხელმოწერა

ბ.ა.

მიღება-ჩაბარების აქტი №3/1

დ.სტეფანწმინდა 24.01.2017წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი,ერთის მხრივ მიმწოდებელი შპს „ ბიზნეს ჯგუფი“ მისი დირექტორის ოლა ხულუზაურის სახით და მეორეს მხრივ შემსყიდველი ა(ა)იპი-ს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრის დირექტორის ქეთინო გელაშვილის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს,მასზედ,რომ მიმწოდებელმა გადასცა შემსყიდველს შემდეგი რაოდენობის და ღირებულების საკვები პროდუქტები:

	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება	ფასი
1	ასაწონი15%-იანი არაჟანი	15კგ	3.71ლ	55,65ლ
2	ასაწონი 4% -იანი ხაჭო	16კგ	8.52ლ	136,32ლ
3	რძე 2,5%-იანი ულტრაპასტერიზებული	20ლ	3.3ლ	66 ლ
4	კარაქი სანტინო72,5% -400გრ	40ცალი	9.3ლ	372ლ
5	ყველი იმერული	20,32	14ლ	284,48ლ

სულ: 914,45ლ

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით.

„შემსყიდველი“

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი

ცენტრი

ს/კ 241499552

მისამართი: ყაზბეგის რ-ნი

დ.სტეფანწმინდა აღმაშენებლის N9

დირექტორი ქ.გელაშვილი

ხელმოწერა

„მიმწოდებელი“

შპს „ბიზნეს ჯგუფი“

მის: ქ.დუშეთი

ს/კ 429322878

ა/ა GE08TB7445145067800002

მომ.ბანკი: თი ბი სი ბანკი

ბანკის კოდი: TBCBGE 22

ხელმოწერა